



ონის მუნიციპალიტეტის  
საშუალოვადიანი  
განვითარების დოკუმენტი  
(2020 - 2023)

2020 წელი



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS  
OF DENMARK**

 Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra  
  
Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC

 WITH FUNDING FROM  
**AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION**



ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის „(UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.



## სარჩევი

---

წინასიტყვაობა .....1

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.....	3
2. სიტუაციის ანალიზი .....	6
2.1 ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა .....	6
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	8
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა .....	17
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა .....	20
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი .....	21
2.6 გარემოს დაცვა .....	23
2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა .....	25
3. SWOT ანალიზი .....	27
4. განხორციელების მექანიზმი.....	32
5. მონიტორინგი და შეფასება .....	53
დანართი .....	54

## წინასიტყვაობა

ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ონის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ ხედვას, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების მიზნით 2019 წლის 25 ნოემბერს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა, ასევე, განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინოვაციების დანერგვას და ეკონომიკის განვითარებას. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ეტაპობრივად დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. შესაბამისი აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო შინაარსის სტატიები ქვეყნდებოდა სოციალურ ქსელში მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე და ვებ-გვერდზე. აღნიშნულ პროცესში უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა. სამუშაო პროცესის წარმართვისას განხილული არაერთი საკითხის ანალიზით, აგრეთვე მოგროვებული ინფორმაციისა და მონაცემების აღრიცხვა-განახლებისა და შესწავლის საფუძველზე, გამოვლენილი იქნა უმთავრესი გამოწვევები მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართ, აგრეთვე, განათლების, კულტურის, გარემოს დაცვისა და ტურიზმის მიმართულებებით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი, განახლებული მონაცემების დამუშავებითა და არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. დოკუმენტი ფოკუსირებული და ორიენტირებულია შესაბამის დარგებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვაზე; მასში ასახულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და მიზნები. მიზნების მისაღწევად ღონისძიებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებით სარგებლობისა და ცნობიერების არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა და სხვა.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდას როგორც ტურისტული, ასევე საინვესტიციო თვალსაზრისით, ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიცირებულ მეწარმეობის განვითარებას, სამუშაო ადგილების ზრდას. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.

მიზნების მისაღწევად დაისახა ისეთი ამოცანები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე; ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა, სამეწარმეო ცოდნის/კვალიფიკაციის ამაღლება, კერძო სექტორზე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ზრდა, ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნა, ფინანსური რესურსების მოძიების ხელშეწყობა და აგროწარმოების განვითარება. ამასთან, ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორი ორგანიზაციის მოძიების იმედად, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

# 1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

მუნიციპალიტეტის ხედვა ონის მუნიციპალიტეტში - განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით, დივერსიფიცირებული ეკონომიკით, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებით უზრუნველყოფილია ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა, ხოლო მუნიციპალიტეტი მოქცეულია ინვესტორების და ბიზნესსუბიექტთა მხრიდან მაღალი ინტერესის ქვეშ.

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

**მიზანი 1. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ტურიზმის განვითარების გზით.**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების ეფექტიანი შესწავლა-გამოყენება და ამ თვალსაზრისით ბიზნესის წარმომადგენლების მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს ინვესტორების მუნიციპალიტეტით დაინტერესებას, შესაბამისი საინვესტიციო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას.

ამოცანა 1.1. ტურისტული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 1.2. სივრცითი ტერიტორიული განვითარება და კეთილმოწყობა

ამოცანა 1.3. მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტების რეკლამირება და ცნობადობის ზრდა.

ამოცანა 1.4. ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ტურისტული პროდუქტის (ბრენდის) განვითარება და ახლის შექმნა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამოცანა 1.5. სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების ორგანიზება.

ამოცანა 1.6. ტურიზმის განვითარების დოკუმენტის შექმნა, ძირითად დოკუმენტთან თანხვედრაში.

ამოცანა 1.7. ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული მინ. წყლებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

შედეგი: პროექტების მხარდაჭერით გაიზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას.

**მიზანი 2. მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს გაუმჯობესება ინფრასტრუქტურული სამუშაოების გახორციელების გზით.**

მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი და შიდა სასოფლო გრუნტის გზები დაზიანებულია. გართულებულია გადაადგილება, დარღვეულია მოძრაობის უსაფრთხოება. ზამთრის პერიოდის გავლისა და ნალექიან ამინდებში ხდება პერმანენტულად შეკეთებული გზების წარეცხვა, რაც მუნიციპალიტეტს უზრდის მოვლა-შენახვის ხარჯს. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია მისასვლელი და შიდა სასოფლო გზები კაპიტალური რეაბილიტაცია, ასფალტობეტონისა და ცემენტკინაბეტონის საფარით, ხიდებისა და ნაპირსამაგრების მოწყობის გათვალისწინებით.

- ამოცანა 2.1. ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია
- ამოცანა 2.2. წყალარინების ქსელის მოწყობა
- ამოცანა 2.3. ნაპირსამაგრი ღონისძიებების გატარება
- ამოცანა 2.4. გაზიფიცირება და წყალმომარაგება
- ამოცანა 2.5. ხიდების რეაბილიტაცია
- ამოცანა 2.6. წყალსადენი სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია
- ამოცანა 2.7. სანიაღვრე სისტემების განვითარება
- ამოცანა 2.8. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

შედეგი: მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზრდება სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც აამაღლებს ცხოვრების ეკომონიკურ დონეს. შეაჩერებს მიგრაციის პროცესს და განავითარებს ტურიზმს.

უხვი ნალექის პირობებში გამართული სანიაღვრე სისტემები დაუბრკოლებლად შეძლებენ ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება.

**მიზანი 3. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით, სასოფლო სამეურნეო დარგისა და სამეწარმეო საქმიანობების განვითარების ხელშეწყობით.**

- ამოცანა 3.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.
- ამოცანა 3.2. საინვესტიციო შესაძლებლობების კვლევა/ანალიზის მიზნით დონორი ორგანიზაციების მოძიება.
- ამოცანა 3.3. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის არსებული ბაზის გაძლიერება.
- ამოცანა 3.4. მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით.
- ამოცანა 3.5. ფერმერთა უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა.
- ამოცანა 3.6. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება.

შედეგი:

განვითარებული ბიზნესი მუნიციპალიტეტში; მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება; მომზადებული საინვესტიციო წინადადებების შედეგად მოზიდული ინვესტიციები.

მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებული მიწის რესურსები გაკულტურებულია და გამოიყენება ოპტიმალურად. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის. გაზრდილია პირუტყვის მწარმოებლობა. მიღებული პროდუქცია გადამამუშავდება და რეალიზდება სასაქონლო სახით.

#### **მიზანი 4. განათლების, სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ამოცანა 4.1. სახელმწიფო სტანდარტებზე დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის

ამოცანა 4.2. არაფორმალური განათლების მხარდაჭერა

ამოცანა 4.3. კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 4.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების (ჭიორა, გლოლა, უწერა, ღარი, ონი, სორი, შეუბანი, პიპილეთი) რეაბილიტაცია

შედეგი: სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანამ, შესაძლებელი გახდა სკოლამდელი დაწესებულებების წარმატებული ავტორიზაცია. გაიზარდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჩართულობის მაჩვენებელი. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული ყველა აღმზრდელ - პედაგოგი და სხვა პერსონალი გადამზადებულია.

კაპიტალურად გარემონტებული და ესთეტიკურად კეთილმოწყობილი სამხატვრო, სამუსიკო და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი უფრო მიმზიდველი გახდა ბავშვებისათვის და გაიზარდა ბავშვთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში.



## 2. სიტუაციის ანალიზი

### 2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. ონის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ეკვრის ჯავის, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია და მისი ყაზარდო-ბაღყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკები. 1917 წლამდე ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1917 წლიდან 1928 წლამდე რაჭის მაზრაში, 1929 წლიდან — რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წლის მარტის ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფით ქუთაისის ოლქში, 1930 წლის ოქტომბრიდან იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა ამბროლაურის რაიონში. 1965 წლიდან გამოიყო დღევანდელი საზღვრებით და იყო დამოუკიდებელი რაიონი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობია 1359.4 კმ<sup>2</sup>.

ონი დედაქალაქიდან დაშორებულია 300 კმ-ით, უახლოესი სარკინიგზო სადგურიდან - (ტყიბული) 64 კმ-ით, ხოლო უახლოესი აეროპორტიდან -(ამბროლაური) 30კმ-ით. ონის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მაღალმთიან ნაწილს განეკუთვნება სადაც შესაბამისად მოქმედებს მთის კანონი.

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 5,8 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 19%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 45%-ია, ხოლო 55% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 6%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (7%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 4,2 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 9%-ით და მიაღწია 253 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობა მოცემული დროის მონაკვეთში შემცირდა 5%-ით (1 980 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 84%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 18%-ია და 7%-იანი კლებით ხასიათდება (2015 - 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 9%-იანი კლება შეინიშნება. 50%-იანი ზრდით ხასიათდება სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 27% მოდის.

**შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა** ონის მუნიციპალიტეტში შრომითი რესურსი 3206 კაცია, რაც მოსახლეობის 54,9%-ია. აქედან დაუსაქმებელთა რაოდენობაა 1254, ანუ სამუშაო ძალის 51,5%. ეკონომიკის დარგში დასაქმებულია 1952 კაცი, საერთო რაოდენობის 60%.

დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაქირავებულთა რაოდენობა 898 კაცია, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 46 %. მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა რაოდენობა 125 კაცია - 13,9%. თვითდასაქმებულთა რაოდენობა 712 კაცია - 36,4%. ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულები 342 კაცი - 17,6%. დასაქმების ძირითადი სფეროებია: საბიუჯეტო სფერო, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, მომსახურება.

მოსახლეობის რიცხოვნობის კლება, მიგრაციული პროცესები და დაბერება არის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებზე.

მდინარეები უმეტესწილად საზრდოობენ მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლებით, ნაწილობრივ კი - მყინვარებით. რიონმა წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა - ზამთარში.

**რელიეფი** ონის მუნიციპალიტეტის რელიეფი მთაგორიანია. სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 600 მეტრიდან 4462 მეტრამდე. ჩრდილო ნაწილი (ფასის მთისა და ჭანჭახის მწვერვალებს შორის) უჭირავს რაჭა-ლეჩხუმის (ცენტრალური) კავკასიონის ქედს, რომლის სამხრეთი კალთა აგებულია იურული თიხაფიქალებით და ქვიშა-ქვებით, თხემური ზონა – პალეოზურ-კამბრილის წინა გრანიტოიტებითა და კრისტალური ფიქლებით. მთავარი ქედის უმაღლესი ადგილია მწვერვალი ჭანჭახი (4462 მ). 3000 მეტრზე მაღალი მწვერვალებია: ფასის მთა, წითელი მთა, ლაბოდა, ტაიმაზი, ყარაუგომი და სხვა. მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: გებეცეკის, ღების, გურძიეცეკის, მამისონის და სხვ.

**ბუნებრივ-კლიმატური პირობები** ონის მუნიციპალიტეტი (ზემო რაჭა) ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში მდებარეობს, რომელსაც კლიმატის სიმაღლებრივი ზონალურობა ახასიათებს: დაახლოებით 300-900 მ სიმაღლის ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ახასიათებს ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული საშუალო წლიური ტემპერატურა 10°C, იანვრის -1°C, ივლისის +20,4°C, აბსოლუტური მინიმუმი -27°C, აბსოლუტური მაქსიმუმი +36°C. წლიური ნალექი 1000-1100 მმ-ს შეადგენს. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზე მოდის, მინიმუმი – ზაფხულში. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალ ადგილებში მაღალმთის კლიმატია, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

**მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები** ონის მუნიციპალიტეტის ცენტრი ქალაქი ონია. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 64 სოფელი და კურორტი შოვი. 64 სოფელი 18 ადმინისტრაციულ ერთეულად-სოფლების თემებად ერთიანდება. მაღალმთიან სოფლებს დამატებით აქვს ალპურ საძოვრებზე სეზონური, საზაფხულო მიგრაციის სოფლები და დასახლებები. ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ #1-ში.

**წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები** ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომლის დიდი ნაწილი თავმოყრილია მდ. რიონის ხეობის ზემო ნაწილში,

სოფლების - ღების, ჭიორისა და გონის ტერიტორიაზე. მოცემულ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახის წიაღისეული: მოლიბდენი, სურმა, სტიბიუმი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, ოქრო, სპილენძი, კვარცი (მთის ბროლი), დიაბაზი, კირქვა, მეწამულის ქვა, კირქვა და კარბონატული ფიქალი, თიხა და ქვიშა ფიქალები, მინალექი, ნარიყი წარმოშობის ქანები, მინერალური წყლები (44 სახეობა), ტყე (წიწვოვანი, ფოთლოვანი). წიაღისეულით მდიდარია აგრეთვე მდ. „ჯეჯორისა“ და „ხეორის“ ხეობები, სადაც არის ბარიტის, თაბაშირის, თუთიის, სილიკო მარგანეცისა და რკინის საბადოები.

## 2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ონის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი სექტორები წარსულში იყო მინერალური წყლების ჩამოსხმა, ბარიტის წარმოება, მრეწველობის საწარმოები, სატრანსპორტო სამსახურები, სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობის ფერმები) და სამკერვალო ფაბრიკა. შემოსავლის ძირითადი სექტორები რადიკალურად შეიცვალა, რაც ქვეყანაში სოციალური და ეკონომიური ფორმაციის შეცვლამ განაპირობა.

ონის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს.

**სოფლის მეურნეობა** ონის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 135 ათას ჰა-ს, აქედან, 46325,6 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უკავია, მათ შორის, 15590,3 ჰა - სათიბს, 27792,3 ჰა - სამოვარს, 312,9 ჰა - მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო 2153,6 ჰა - სახნავს, რომელიც საერთო ფართობის მხოლოდ 2 %-ს შეადგენს, ხოლო 68176,77 ჰა ტყის ფართობებით არის დაკავებული.

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ამ დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული. ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებს ხელმძღვანელობენ. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად ნატურალური მეურნეობის ნიშნებს ატარებს. მეტწილად იგი ორიენტირებულია არა საბაზრო მოთხოვნებისა და შესაბამისი პროდუქციის წარმოებაზე, არამედ, კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რელიეფის გამო, მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ფართობების ფრაგმენტაციით, რაც ძალზედ ართულებს მეურნეობების გამსხვილებას.

სოფლის ეკონომიკაში არსებული საწარმოო კაპიტალი მხოლოდ არსებობის აუცილებლობისთვისაა საკმარისი და იგი ძირითადად მიმართულია შიდა მოხმარებაზე, ვიდრე კომერციული მიზნებისთვის. სოფელს გააჩნია აუთვისებული და გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების მარაგი, რომელთა ჯეროვანი გამოყენებაც ხელს შეუწყობდა როგორც სოფლის განვითარებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და მეხილეობა.

**მესაქონლეობა** მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს და ის ფერმერთა და გლეხური მეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროა. დამზადებული

ხორცისა და რძის პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და ჯანსაღი. ამ მიმართულებით ფუნქციონირებს 24 ფერმერული მეურნეობა და 2 საწარმო. ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულია 45 ადამიანი, ხოლო საწარმოებში - 65 ადამიანი.

ამ მიმართულებით ფუნქციონირებს ქართულ-შვეიცარიული ფერმა შ.პ.ს. „ბლაუნშტაინ საქართველო“, რომელიც შეიქმნა 2008 წელს და განახორციელა 35 მილიონის ინვესტიცია. საწარმოში ხორციელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება; კერძოდ, ახდენენ კავკასიურ წაბლასა და შვიცის ჯიშის ხელოვნურ განაყოფიერებას, რის შედეგადაც მიიღება მაღალი პროდუქტიულობის პირუტყვი, აღნიშნულ ფერმაში უკვე მიიღეს მესამე თაობა, ხოლო მეხუთე თაობა უკვე იქნება სუფთა შვიცი.

მუნიციპალიტეტში მესაქონლეობა პროგრესულად ზრდადი დარგია, რადგან მუნიციპალიტეტში სათიბ-სამოვრების დიდი პოტენციალია, რაც გვაძლევს წინაპირობას, რომ შეიქმნას რძის, რძის პროდუქტების და ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები.

2017 წლიდან სოფ. ღარში “საპარტნიორო ფონდი” და კომპანია NATIVE GEORGIAN- ი ერთობლივად ახორციელებენ „ქართული მთის ღორის გადარჩენის“ პროექტს. დღევანდელი მდგომარეობით, ფერმა თითქმის დასრულებულია. „ქართული მთის ღორის გადარჩენის“ პროექტი საქართველოში „იბერიკოს“ ჯიშის ანალოგის, უნიკალური ქართული მთის ღორის მოშენების, ქართული „ჰამონის“ წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი კომერციალიზაციის ეტაპებს მოიცავს. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 12 მლნ დოლარია.

**მეფრინველეობა.** ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მეფრინველეობის განვითარებას, რაც მეტწილად საოჯახო მეურნეობის სახეს ატარებს. აღნიშნული დარგის განვითარების კუთხით, არსებული რესურსის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს პოტენციალი მცირე და საშუალო ბიზნესის წამახალისებელი პროგრამების დანერგვისათვის, რაც მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის ზოგადად მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერების და საოჯახო მეურნეობებისათვის ეკონომიკურებ შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით.

**მეფუტკრეობა** მუნიციპალიტეტში ფართოდ არის განვითარებული. ამ დარგს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია და ფერმერთა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. ყოველწლიურად ხდება ფუტკრის ოჯახების მატება. კავშირგაბმულობისა და საანბო მეურნეობების სიმწირე ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორია ფუტკრის გამრავლების თვალსაზრისით. ტერიტორიის 70% დაფარულია ტყის საფარით; გარდა უნიკალური წიწვოვანი ჯიშებისა, მასივებში მრავლად გვხვდება თაფლოვანი მცენარეები: აკაცია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, წაბლი; ალპურ და სუბალპურ მასივებში კი თაფლოვანი ბალახოვანი მცენარეები: ძიძო, სამყურა, ესპარცეტი, იონჯა და სხვა. აქედან გამომდინარე, თაფლი გამორჩეულია გემოვანი და სამკურნალო თვისებებით, არის საკმაოდ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა. ფერმერები აწარმოებენ როგორც პოლიფლორულ (სხვადასხვა დასახელების მცენარეთა ყვავილებიდანაა შეგროვებული და ატარებს ზოგად სახელს: გაზაფხულის, ზაფხულის, მინდვრის ყვავილების, მთის თაფლი და სხვ.), ასევე, მონოფლორულ

(ძირითადად, ერთი დასახელების მცენარის ყვავილებიდანაა შეგროვებული და ატარებს მათსავე სახელს: აკაციის, წაბლის, ცაცხვის და სხვ.) თაფლს. თაფლთან ერთად მეფუტკრეები მცირე რაოდენობით აწარმოებენ ფუტკრის სხვა პროდუქტებს: ფუტკრის რძე, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი.

ონის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია, შესაძლებელია არსებული რაოდენობის რამოდენიმეჯერ გაზრდა.

**მებოსტნეობა.** ონის მუნიციპალიტეტში, მებოსტნეობაში ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კარტოფილის წარმოება. ცნობილია, რომ კარტოფილი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია, რომლის წარმოება ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ადგილობრივი და განსაკუთრებით, მაღალმთიანი სოფლების ფერმერებისათვის; მას გააჩნია განსაკუთრებული გემოვნური თვისებები, მდგრადია კოლორადოს ხოჭოს, ფიტოფტოროზის და სხვა მავნე დაავადებების მიმართ. მაღალმთიან ზონაში თითქმის ნულის ტოლია გვალვის საშიშროება და არ საჭიროებს მორწყვას.

კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა წლიურად 10 ტონას არ აღემატება. ამდენად, აუცილებელია წარმოების ინტენსიფიკაცია და მოსახლეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მექანიზაცია თითქმის ხელმიუწვდომელია, რეგიონში არ არის არცეთი კარტოფილის სარგავი და ამდები მექანიზმი, ნაკლებად გამოიყენება მცენარეთა დაცვის საშუალებები, არ ხდება მიწის აგროქიმიური ანალიზი. აუცილებელია ჯიშთა ცვლა-გაუმჯობესება.

ონის მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობები სხვა ბოსტნეული კულტურების წარმოების მეტად გაფართოების, განსაკუთრებით, პომიდვრისა და კიტრის მოსავლიანობის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა. ამისათვის საჭიროა ფერმერთა კოოპერაცია და კოოპერაციის ხელშეწყობა, ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა წვეთოვანი სისტემები, საჩითილე მეურნეობის მოწყობა, პესტიციდების გამოყენების წესებზე ცნობიერების ასამაღლებლად შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და სხვა ღონისძიებების გატარება.

**მეხილეობა.** ონის მუნიციპალიტეტის საოჯახო მეურნეობებში თითქმის ყველა ოჯახს გააჩნია კაკლის და ხილის ბაღები, რომლითაც მოსახლეობა იღებს ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ შემოსავალს. ქ. ონში შპს „გეოფლაურმა“ გახსნა ხილისა და კენკროვანი კულტურების ჩამზარებელი პუნქტი, რაც საკმაოდ დიდი დახმარებაა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მომავალში კი იგეგმება გაფართოება და ხილის საშრობის მოწყობა.

ონის მუნიციპალიტეტი განთქმულია რაჭული ნიგოზით, რომელიც გამორჩეულია ცხიმის მაღალი გამოსავლიანობით და გემოვნური თვისებებით, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის აგრარულ ბაზარზე, იგი შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროდ.

მუნიციპალიტეტში შესაძლებელია შეიქმნას ტყემლის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც შესაძლებელი იქნება ტყემლის საწებლის დამზადება, ხოლო ნარჩენი წვენიდან დამზადდება წუა<sup>1</sup>.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ასევე განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება და რეალური პერსპექტივა აქვს მეხილეობას, კერძოდ კი კენკროვნების კულტივაციას, რომელთა გაშენებაც ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის “დანერგე მომავალი“ ხელშეწყობით. აქ წარმოებული ხილი არის ეკოლოგიურად სუფთა, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ბაზარზე. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ შემოსავალს იღებს საოჯახო მეურნეობების ფარგლებში გაშენებული კაკლის და ხილის ბაღებიდან. მუნიციპალიტეტი განთქმულია რაჭული ნიგოზით, რომელიც გამორჩეულია ცხიმის მაღალი გამოსავლიანობით და გემოვნური თვისებებით, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის აგრარულ ბაზარზე, იგი შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროდ. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე შეინიშნება, ასევე, გამოწვევას წარმოადგენს სამაცივრე მეურნეობების არარსებობა.

ხეხილის ბაღებში, მოსახლეობა არ მიმართავს აგროტექნიკურ ღონისძიებას (გასხვლა, წამლობა და სხვა). შესაბამისად, წარმოებული ხილი არის ეკოლოგიურად სუფთა, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ბაზარზე. ონის მუნიციპალიტეტში ხეხილის კულტურებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის ვაშლზე (საშუალო საჰექტარო მოსავალი ტ/ჰა 10), ხოლო შემდეგ მოდის კაკალი (ტ/ჰა 7), და სხვა კულტურები.

### მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

- მწირი ნიადაგები, დამრეცი რელიეფი და ფართობების ფრაგმენტაცია.
- სათიბ-სამოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის გაუხეშება.
- აგროწარმოების და ლოჯისტიკის განვითარების არადაამაკმაყოფილებელი დონე.
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალი პროდუქტიულობა.
- საკრედიტო რესურსებზე ხელმიუწვდომლობა.
- ვეტერინარული მომსახურების არასრულყოფილი დონე მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია მეცხოველეობის განვითარებისათვის
- პროდუქციის რეალიზაცია, გარდა ტურიზმის სექტორში ჩართული ფერმერებისა, უმეტესად ხდება შუამავლების მეშვეობით, რაც გამოწვეულია ბაზარზე დაკავშირების პრობლემებთან, რეალიზაცია ხდება დაბალ ფასებში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულებაზე დაბალია.
- მუნიციპალიტეტის რელიეფიდან გამომდინარე გახშირებულია მეწყრული და ეროზიული მოვლენები, რაც ამცირებს მიწის სავარგულების რაოდენობას და ხარისხს.

<sup>1</sup> გათუთქული ტყემლის, ღოდნოშოსა და მისთ. მოდულეებული წვენი.

**შესაძლებლობები**

- მცირე სასოფლო ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის გაზრდით, შესაძლებელი გახდება როგორც სახნავი ფართობების სრულად ათვისება, ასევე სათიბი ფართობების გაკულტურება და საკვებწარმოების პროცესში ჩართვა.
- ეფექტური ვეტერინალური სერვისის შექმნა ხელს შეუწყობს პირუტყვის მწარმოებლობის გაზრდას.
- კარტოფილის შემნახველი და მეცხოველეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაუჩენს ინტერესს გაზარდონ თავიანთი საწარმოო რესურსები და აწარმოონ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია.
- წარმოებული პროდუქციის ეფექტური რეალიზაცია გაზრდის მოსახლეობის შემოსავალს და წარმოების გაზრდის მოტივაციას
- ეროზიული და მეწყრული მოვლენების პრევენცია შესაძლებლობის ფარგლებში შეინარჩუნებს არსებული სავარგულების რაოდენობას და ხარისხს
- მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით ნიადაგის ტიპის და პერსპექტიული დარგის შესაბამისად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტმა შეადგინოს და განახორციელოს სოფლის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული ნაკვეთისათვის ოპტიმალური მიმართულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მრავალწლიან შედეგზე.

**მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა** ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომლის დიდი ნაწილი თავმოყრილია მდ. რიონის ხეობის ზემო ნაწილში, სოფლების ღების, ჭიორისა და გონის ტერიტორიაზე. მოცემულ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახის წიაღისეული: მოლიბდენი, სურმა, სტიბიუმი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, ოქრო, სპილენძი, კვარცი (მთის ბროლი), დიაბაზი, კირქვა, მეწამულის ქვა, კირქვა და კარბონატული ფიქალი, თიხა და ქვიშა ფიქალები, მინალექი, ნარიყი წარმოშობის ქანები, მინერალური წყლები, ტყე (წიწვოვანი, ფოთლოვანი). წიაღისეულით მდიდარია აგრეთვე მდ. "ჯეჯორისა" და "ხეორის" ხეობები, სადაც არის ბარიტის, თაბაშირის, თუთიის, სილიკო მარგანეცისა და რკინის საბადოები.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი რესურსების დიდი უმრავლესობა ძნელად მოსაპოვებელია, ხოლო მათი მარაგები შედარებით მოკრძალებული. შესაბამისად, ოქროს გარდა, სხვა საბადოებზე მოთხოვნა არცთუ დიდია.

**ოქრო** სოფელ ღებში ვარაუდობენ რამოდენიმე ტონა ოქროს რესურსს. აღსანიშნავია, რომ საბადოს გააჩნია 60 ძარღვი, რომლებიც ჯერ შესწავლილი არ არის და რომელიც არანაკლებ პერსპექტიულია. მომავალში იგეგმება წარმოების განვითარება, რაც გამოიწვევს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგრძნობლად გაზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ადგილზე დამაგრებას, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სატრანსპორტო გზების მოწესრიგებას და ა.შ.

**ბარიტი** ბარიტის მოპოვება მიმდინარეობდა ონის რაიონში საბჭოთა პერიოდში, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია აღნიშნული წარმოების დაშლა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაპარტახება. 2012 წლიდან დაიწყო ბარიტის მოპოვება, დღეისათვის მოპოვებულია დაახლოებით 20,000 ტონა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ბარიტის მოპოვება კვლავ შეწყდა. ამჟამად მიმდინარეობს ურთიერთშეთანხმების პროცესი მადნის მოპოვების შესახებ.

**მინერალური წყლები** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალური წყლები (დაახლოებით 44 სახეობის). კურორტ უწერაში 28 სახის მინერალური წყლის საერთო დღეღამური დებეტი 800 ტონაა. ისინი მდიდარია კალციუმითა და რკინით, შეიცავს ბორსა და იოდს, ასევე, სხვა მინერალებს. ძირითად რესურსს წარმოადგენს სამკურნალო მინერალური წყალი „უწერა“, რომელიც ჰიდროკარბონატული ნატრიუმის წყალია და შეიცავს ბორის მჟავას. წყლის დებეტი დაახლოებით 600 ტონაა. არსებული წყლები ერთმანეთისაგან განსხვავდება სახეების მიხედვით. არის როგორც სამკურნალო-სუფრის, ასევე ბალნეოლოგიური დანიშნულების.

უწერის წყლის ჩამოსხმა ხდებოდა საბჭოთა პერიოდში. დღესდღეობით, საწარმო, სადაც მიმდინარეობდა მინერალური წყლის „უწერა“ ჩამოსხმა, პრივატიზებულია და არ ფუნქციონირებს. აღნიშნული წარმოების ასაღორძინებლად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, თანამედროვე ტიპის აღჭურვილობით შეიარაღებული ქარხნის გამართვა, რომელიც აწარმოებს პროდუქციას და კონკურენციას გაუწევს ქართულ და უცხოურ ბაზარზე ფეხმოკიდებულ კონკურენტულ პროდუქციას.

შოვში გამოკვლეულია 16 სახის მინერალური წყარო, რომელთა დღეღამური დებეტი 150 ტონაა. ისინი ქიმიური შემადგენლობის პირველი ტიპისაა, შეიცავს კალციუმს, ნატრიუმს, რკინას, მაგნიუმს, ქლორს და სხვა მინერალებს. მინერალური წყლები არის აგრეთვე ქ. ონის და მის მიდებარე ტერიტორიებზეც (ბალნეოლოგიური დანიშნულების სამკურნალო მინერალური წყალი „სორტუანი“).

აღსანიშნავია, რომ წიაღისეულის რესურსული პოტენციალის მართვა-გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია არსებული რესურსების მარაგების ხელახალი აღრიცხვა-შეფასება, სისტემატიზაცია და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება.

2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სულ გაცემულია 23 ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებაზე: ბარიტის მოპოვებაზე 1 ლიცენზია, თაბაშირის მოპოვებაზე 2 ლიცენზია, კვარცის მოპოვებაზე 1 ლიცენზია, მანგანუმის მოპოვებაზე 3 ლიცენზია, მტკ 2 ლიცენზია. მინერალური წყლების 1 ლიცენზია, ოქროს შესწავლა-მოპოვებაზე 5 ლიცენზია, ქვიშა-ხრემის მოპოვება 7 ლიცენზია. დღევანდელი მდგომარეობით, ხდება თაბაშირის და ქვიშა-ხრემის მოპოვება, ხოლო ოქროზე მიმდინარეობს დაძიების სამუშაოები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხე-მასალაზე მომუშავე საწარმო, რომელსაც პროდუქცია გააქვს ექსპორტზე.



პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 120 ბენეფიციარი, მათი ძირითადი ნაწილი მოდის საოჯახო სასტუმროებზე (36) და კვების ობიექტებზე (28), ასევე საფეიქრო და სადღურგლო საქმიანობებზე.

**ტურიზმი და მომსახურების სფერო** ტურიზმი ონის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნული სფეროს განვითარებისათვის ორიენტაცია უნდა იქნას აღებული როგორც სამთო-სათხილამურო, ისე, საზაფხულო კურორტების მშენებლობასა და არსებულის განახლებაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მაღალი კლასის ისე მცირე ზომის ოჯახური სასტუმროების ქსელის შექმნასა და გაზრდას, რათა დასვენების საშუალება საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

2018 წელს შეიქმნა ა(ა)იპ ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი/Oni Tourist Information Center/, სადაც შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მოძიება ონის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული შესაძლებლობების შესახებ, ეს არის ინფორმაცია ტურისტული დანიშნულების ობიექტების, მარშრუტების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ბუნების ძეგლების, კურორტების, ტრანსპორტის გრაფიკის, საოჯახო სასტუმროების, ღონისძიებების, ფესტივალების და სხვა აქტივობებისა თუ ღირშესანიშნაობების შესახებ. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით დამზადდა 24 ვიდეო რგოლი (სოფლები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კურორტები, მინერალური წყლები, ტაძრები, ბუნების ძეგლები და სხვ.), რომელიც განთავსებულია სოციალურ ქსელში, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ოფიციალურ facebook-გვერდზე.

დღევანდელი მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში 61 საოჯახო სასტუმროა, რომელთა პერსონალის გადამზადებაზე დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ცნობიერების დონის ამაღლებას და სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ცნობილი კურორტი - შოვი და უწერაა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ტურიზმი და საკურორტო მომსახურება სუსტადაა წარმოდგენილი. 2019 წელს ტურისტების რაოდენობამ შეადგინა 18,900 კაცი, თუმცა არსებული მონაცემები სრულად არ ასახავს რეალობას. ბოლო წლების მონაცემებით, ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

კურორტების - შოვისა და უწერის განვითარებისთვის აუცილებელია სათანადო ფინანსური ინვესტიცია, რათა კურორტმა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს და მოემსახუროს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ამჟამად კურორტ შოვში არსებული მაღალი კლასის სასტუმრო კომპლექსი შესაძლებელია ჩაერთოს საქმიანი ტურიზმის სფეროში.

**სამთო-სათხილამურო ტურიზმი** შოვისა და უწერის კურორტებს მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია სამთო - სათხილამურო კურორტებად გარდაქმნისათვის, ამ შემთხვევაში ორივე კურორტი შეძლებს მოემსახუროს დამსვენებელს წელიწადის ნებისმიერ დროს და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანოს. შოვისა და უწერის კურორტებს გააჩნია უპირატესობა სხვა კურორტებთან შედარებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქ არსებული ჰავა და კლიმატი გამორჩეულია თავისი სამკურნალო თვისებებით და უნიკალური მინერალური წყლებით. ინვესტიციების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდგომ მუნიციპალიტეტის კურორტები - შოვი და უწერა გახდება საქართველოს თვალსაჩინო ზამთრის კურორტები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობისათვის შესანიშნავი პირობებია სოფ. შქმერსა და მრავალძალში. ასევე შესაძლებელია შოდის მთაზე სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება, მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით ტურიზმის განვითარებას. სოფ. გლოლა, ღები და გონა შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, ტურისტულად მიმზიდველი ადგილებია, დღევანდელი მდგომარეობით.

**ეკოტურიზმი** ონის მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანესი საგანძური - ულამაზესი და უნიკალური ბუნება ქმნის წინაპირობას ეკოტურიზმისა და მისი თანმდევი სახეობების განვითარებისთვის: სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო ტურები. აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა-განვითარების კარგ საფუძველს იძლევა მღვიმეები, ჩანჩქერები, ულამაზესი ტბები და კლდოვანი მწვერვალები. მდ. რიონისა და მდ. ჯეჯორაზე შესანიშნავი პირობებია სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისთვის, რაც ექსტრემალურ-სათავგადასავლო ტურების მოყვარულებისთვის, ასევე მაღალი კლასის ტურისტების მოსაზიდად მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის. სწორედ ამ უნიკალური ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის იქმნება დაცული ტერიტორიები.

ძალზედ მნიშვნელოვანია მარშრუტი ჭიორა-ნოწარას მთა; ნოწარის მთა ხასიათდება შთამბეჭდავი ბუნებითა და ხედებით, რომელიც სოფელ ჭიორიდან 18 კილომეტრში მდებარეობს, აღსანიშნავია ნოწარის მინერალური წყალი, რომელიც სამკურნალო თვისებებითა და გემოვნებით არ ჩამოუვარდება კავკასიის ამ ტიპის არცერთ წყალს. ამავე ადგილას ფუნქციონირებდა მეცხოველეობის დიდი ფერმა, სადაც დღემდე შემორჩენილია მწყემსების სადგომი, ამ შესანიშნავ გარემოში ღამის გათენება ყველასთვის შესაძლებელია. აქვე ჩამოედინება მდინარე ნოწარულა, ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები. ნოწარიდან გზა უღელტეხილით იმიერკავკასიაში გადადის. ზემოაღნიშნული ადგილები დიდ ინტერესს იწვევს ვიზიტორებში, შესაბამისად, ტურისტული თვალსაზრისით აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის მიერ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით) მიმდინარეობს საფეხმავლო მარშრუტების კვლევისა და დაგეგმარების პროექტები. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში

არსებულ პერსპექტიულ მარშრუტებზე ოპტიმალური სვლა-გეზების დადგენას. ტურისტული ობიექტების აღრიცხვას, ტოპოგრაფიული რუკებისა და მარკირების პროექტების მომზადებას. დღეისათვის არსებობს 8 ტურისტული მარკირებული მარშრუტი: (ვებ. გვერდი [www.wikiloc.com](http://www.wikiloc.com)).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „აღმოაჩინე საქართველო“, რომლის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი Travel.ge-იმ ონის მუნიციპალიტეტში შეისწავლა და გამოავლინა ტურისტული რესურსი, ხოლო მათი განთავსება მოხდა ელექტრონულ ტურისტულ გზამკვლევ Travel.ge-ზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტული რესურსების ცნობადობის ამაღლებას მსოფლიო მასშტაბით. მსგავს პროექტებში ჩართულობა მომავალში შეიძლება განხილულ იქნას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებში. ასევე მსოფლიო კულტურულ მარშრუტებში ჩართვა (რომელსაც საქართველო 2016 წელს შეურთდა და 2021 წელს საქართველოში იგეგმება კულტურული მარშრუტების საერთაშორისო ფორუმის ჩატარება) მუნიციპალიტეტს მოუტანს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შანსს და დიდ პოპულარობას.

ონის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ტურისტული შესაძლებლობები გააჩნია შქმერში არსებულ კარსტულ მღვიმეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს. ულამაზესი დარბაზებისა და გვირაბების საერთო სიგრძე 2 კმ-ს აღემატება. მღვიმე დღემდე არაა შესწავლილი, შესაბამისად, ადგილზე ტურისტების მიყვანა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ამ მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციის გამოყენებისთვის და პოპულარიზაციისთვის საჭიროა მღვიმის შესწავლა სპელეოლოგების მიერ.

მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილებია ზედქალაქი (ნასოფლარი-სოფ. გლოლა) და ბრილი (სოფელი ღები). ზედქალაქში მრავლადაა, როგორც ციხესიმაგრეთა, ასევე საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევები და მათ შორის განვითარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესიაც, რომლისაგანაც მხოლოდ კედლების მცირე ნაწილია დარჩენილი. კარგადაა შემონახული ე.წ. ბერის საყდარი, პატარა ზომის დარბაზული ეკლესია. საყდრის კედლებზე იყო შენახული XX საუკუნის დასაწყისამდე თამარის დროინდელი ფრესკული მხატვრობა, თვით თამარ მეფის ბრწყინვალე გამოსახულებით.

ბრილი - მდებარეობს რიონისა და ზოფხითურის წყალთაშუა ტერასაზე, რიონის მარცხენა ნაპირზე, ღებიდან 10 კმ-ში. ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია რაჭაში, რომელიც იყო ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანის უმძლავრესი მეტალურგიის ცენტრი. სოფელი მოიშალა 300 წლის წინ. ბრილის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ რიონის სათავეებში იმ დროს ბინადრობდნენ კოლხური კულტურის მატარებელი ქართველები, რომლებსაც ამარანტებად მოიხსენიებენ.

**პილიგრიმული ტურიზმი** მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ძირითადი პირობაა ტურიზმის განვითარებისათვის. ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, ინტენსიურად მიმდინარეობს ონის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც პირდაპირ კავშირშია ონის მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის სათანადო

გამოყენებასა და განვითარებასთან. მუნიციპალიტეტში მუდმივად მიმდინარეობს როგორც სახელმწიფო ასევე შიდა გზების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. შესაბამისად, დამთავრდა ონი-უწერა-შოვის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ინვესტირება უაღრესად მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში, რადგან ამჟამად კურორტების უმრავლესობის (მცირე გამონაკლისის გარდა) ინფრასტრუქტურა საჭიროებს რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტი აქტიურად აგრძელებს მუშაობას ინვესტიციების მოძიების მიმართულებით. სწორედ ტურიზმის განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ასევე მნიშვნელოვანია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობისათვის განხორციელებული ინვესტიცია, რადგანაც მუზეუმისადმი და მასში დაცული მრავალი ექსპონატი იწვევს დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს და აღნიშნული ობიექტის მშენებლობის დასრულება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდაში, ასევე, ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაში.

**აგროტურიზმი** ონის მუნიციპალიტეტში საინვესტიციო პროექტების მოზიდვა მნიშვნელოვნად გაზრდის სოფ. ღების ეკოტურიზმისა და აგროტურიზმის მიმართულების განვითარებას.

აგროტურიზმის მიმართულებით “იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს რეგიონალური განვითარების პროგრამა საქართველოში“ ფარგლებში სოფელ მრავალძალში იგეგმება შეიქმნას სივრცე, სადაც ტურისტს ექნება შესაძლებლობა დააგემოვნოს სოფლის ნატურალური პროდუქტი და მიიღოს მონაწილეობა მათ დამზადებაში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე მთაში“- წარმატებით განხორციელება ონის მუნიციპალიტეტში. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია საოჯახო სასტუმროების გადაიარაღებისათვის მოპოვებულ ფინანსებს. ასევე გამარჯვება მოიპოვა რამდენიმე კაფე-ბარის (როგორც ახლად შექმნილი, ასევე არსებული) სარეაბილიტაციო პროექტებმა, რადგან ამ მიმართულებით ვიზიტორთა დიდი ინტერესი და მოთხოვნა ფიქსირდება.

საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტებთან მისასვლელი გზების და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ბოლო 2 წლის მანძილზე მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები.

მნიშვნელოვანია ისტორიული, კულტურული, და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და აბრების დამონტაჟება, ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება. გარდა ზემოჩამოთვლილისა, უაღრესად საჭიროა ტურისტების მოტივაციის ამაღლებისათვის კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

### **2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა**

ბოლო წლების განმავლობაში, ონის მუნიციპალიტეტის ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას და გაუმჯობესებას,

კერძოდ: გაზიფიცირება, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ხიდების, სანიაღვრე სისტემების და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრების მოწყობა, ქ.ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი და სხვ. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული, რომ უზრუნველყოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა და მუნიციპალიტეტის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახე არადაამაკმაყოფილებელია, რისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორია არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს რეგულირების ქმედითი სისტემის არარსებობა. ძირითად პრიორიტეტად კი კვლავ რჩება საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი წყლის, ხიდების, ნაპირსამაგრების, საზოგადოებრივი შენობების რეაბილიტაცია, მყარი ნარჩენების მართვა, რომელთა განხორციელება ერთმნიშვნელოვნად მუნიციპალიტეტის განვითარების აუცილებელი პირობაა.

### სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

**გზები** ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის სამი გზა ქუთაისი-ალპანა-მამისონი (66კმ.), გუფთა-ონი (20კმ), საგლოლო-ჭიორა-ღები (12კმ) მდებარეობს.

2019 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს კვაშიეთი-შქმერის მიმართულებით გზის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის დასრულება 2023 წლისთვის იგეგმება, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს არამარტო გზის მიმდებარე ცხრა სოფლის განვითარებას (მოსახლეობა-300 სული), არამედ ხსენებული გზა გახდება ინტერრეგიონალური და დაუკავშირდება საჩხერის მუნიციპალიტეტს. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონის ოკუპაციამ ჩაკეტა სახელმწიფო გზის გუფთა-ონის მონაკვეთი და მუნიციპალიტეტი სარგებლობს მხოლოდ შემოვლითი გზით. საჩხერე-შქმერის გზის რეაბილიტაციის შემთხვევაში შემცირდება დედაქალაქამდე მანძილი და დრო, გაუმჯობესდება სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, განვითარდება ზამთრისა და ზაფხულის კურორტები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

დაწყებულია და მრავალწლიან პროექტს წარმოადგენს ბარი-მრავალძლის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობით დასრულება იგეგმება 2021 წლისთვის.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო მნიშვნელობის გზის „საგლოლო-ჭიორა-ღების“ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, რომელიც დროებით შეაფერხა გზაზე გააქტიურებულმა მეწყრულმა პროცესებმა. აღნიშნული გზა აკავშირებს სოფელ ჭიორასა და ღებს მუნიციპალურ ცენტრთან. ასევე მნიშვნელოვანია ღები-სვანეთის დამაკავშირებელი გზის აღდგენა, რომელიც დააკავშირებს ორ მუნიციპალიტეტს ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს ინტერმუნიციპალურ პროექტს და სტრატეგიულ ადგილს ტურისტული განვითარების კუთხით.

ქ. ონში ასფალტირების სამუშაოები მთლიანად დასრულებულია. სოფლებში მისასვლელი გზების 90%-ზე მეტი მოხრეშილი და შეკეთებულია. დარჩენილია შიდა სასოფლო (საუბნო) გზების ნაწილი. მუნიციპალიტეტში არის 28 საავტომობილო (506 მ) და 5 საფეხმავლო ხიდი (115 მ). მოსარგებლეთა რაოდენობაა დაახლოებით 7,139 კაცი. მუნიციპალიტეტის 10 ხიდი საჭიროებს რეაბილიტაციას.

**სანიაღვრე სისტემები** ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის 50% საჭიროებს რეაბილიტაციას. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებულ პუნქტებში არსებულ სანიაღვრე სისტემას, აქ რეაბილიტაციას ან ახალი სისტემის მოწყობას ექვემდებარება საშუალოდ 40-50%.

**სასმელი წყლის სისტემა** ქ. ონის წყლით მომარაგებას ემსახურება ორი „ჟიჟორეთი“ და „ქვედრულას“ სათავე ნაგებობები, ასევე ექსპლუატაციაში შევიდა სოფ. წმინდაურში მდინარე ქვედრულას სასმელი წყლის შემკრები რეზერვუარი, რომელიც საშუალო სიმღვრივის პირობებში ამარაგებს ქ. ონს გაფილტრული სასმელი წყლით. მთის წყაროებით და სათავეში გაკეთებული წყალშემკრები აუზებით მარაგდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი. მოსაწყობია ქვედრულას სათავე ნაგებობაზე საქლორატორო, ასევე მოსაწესრიგებელია შიდა ქსელი რამოდენიმე ქუჩაზე.

**საკანალიზაციო სისტემა** ქ. ონში მოწესრიგებულია წყალარინების სისტემის დაახ. 90%. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ონში როგორც წყალსადენის სათავე ნაგებობები, ასევე, წყალარინების სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას. კერძოდ; წყალარინების სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას და გამწმენდი ნაგებობის (სეპტიკი) მოწყობას.

**ენერგომომარაგება** ონის მუნიციპალიტეტი სრულად ელექტროფიცირებულია, ხოლო 2020 წლისთვის იგეგმება ინდივიდუალური გამრიცხველიანების მთლიანად დასრულება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი ჰიდროელექტროსადგური (ზვარეთჰესი), რომელიც საათში 300 კვტ/სთ. ენერგიას გამოიმუშავებს და 1,41კვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური „ხეორიჰესი“.

კეთილმოწყობის განვითარების მიმართულებით დაგეგმილია ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების გაგრძელება, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ყოფილი საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს რეაბილიტაცია, ბეერ-შევას სახელობის პარკის სრული რეაბილიტაცია, ქ. ონში არსებული საბავშვო ბაღისა და კულტურის სახლის შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების მოწყობა, ქ. ონში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, ქ. ონში ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია მასშტაბური ჰიდროელექტრო სადგურების „ჭიორა ჰესი“-ს და „ონი კასკადი-ს მშენებლობა.

**გაზიფიკაცია** შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ს მიერ განხორციელდა ქ. ონისა და მუნიციპალიტეტის სოფელების (სორი, ნიგვზნარა, ხურუთი, ჭალა, შეუბანი, ლაჩთა, ღარი) გაზიფიცირება. უახლოეს მომავლაში გაზიფიცირების პროცესი გაგრძელდება მუნიციპალიტეტის 10 სოფელში.

**ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა** ადგილობრივი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქში პარკის, სკვერებისა და ბულვარის აღჭურვასა და კეთილმოწყობას. რეკრეაციული პოტენციალის განვითარებისთვის განსაკუთრებით პერსპექტიულია ქ. ონში მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო, ბეერ-შევას სახელობის პარკი. მისი სრული რეაბილიტაცია, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის მოსახლეობისა და დამსვენებლებისათვის მყუდრო და აქტიური დასვენებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ასევე მნიშვნელოვანია ქ. ონში არსებული „სორტუანის“ მინერალური წყლის მიმდებარე ტერიტორიის გამოყენება რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის და ბალნეოლოგიური აბანოს აღდგენა/რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის სოფლების პოტენციალის გამოყენება რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და საკურორტო მიზნებისათვის. მაღალმთიან სოფლებში შქმერი, მრავალძალი, გონა, ღები, ჭიორა და სხვა შესაძლებელია ტურისტული ბილიკების, სათხილამურო ტრასების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ონის მუნიციპალიტეტში წლის ყველა სეზონზე ტურიზმის განვითარებას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით იგეგმება სოფელ ღებსა და სვანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ბილიკების მოწყობა, მინ. წყლებისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. ტურიზმის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი იქნება სოფელ ცხმორში არსებული სამდონიანი 15 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

## **2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა**

ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალურად დაცვა ონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

**ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა** ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო - 15 საწოლიანი შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ონის საავადმყოფო“. მუნიციპალიტეტს ემსახურება 2 სასწრაფო დახმარების მანქანა. ონის საავადმყოფო განიცდის ექიმების უკმარისობას, ეს კი იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას საქართველოს სხვადასხვა კლინიკებში. რაც შეეხება ამბულატორიებში დასაქმებულ ექიმებს 12 ამბულატორიიდან 9 ამბულატორიაში დასაქმებული ექიმები პარალელურად დასაქმებულები არიან სასწრაფოსა და საავადმყოფოში.

**სოციალური მომსახურება** ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 2, ბავშვთა რეაბილიტაციით - 1, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 2 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.



ონის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება შემდეგი სოციალური პროგრამები: ავადმყოფთა სოციალური დაცვის მომსახურების გაუმჯობესება, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცულობის გაზრდა, ასწელს გადაცილებულთა სოციალური დაცვის გაუმჯობესება, სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში, დაღუპულთა, ინვალ. ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით გაცემული ხარჯი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია.

## 2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია საშუალო და სკოლამდელი განათლება, არაფორმალური განათლება, ასევე კულტურის სფეროს დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი თაობის განათლებას და მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სხვადასხვა დაწესებულების, შენობა-ნაგებობის და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და გადასაწყვეტია შენობების გაზიფიცირების საკითხი.

**განათლებაზე ხელმისაწვდომობა** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ტიპიური, ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაგა-ბაღი, სკოლამდელი განათლების ცენტრი სოფელ გლოლაში და სასკოლო მზაობის ცენტრი სოფელ პიპილეთში. უახლოეს პერიოდში გაიხსნება სოფელ ღების სასკოლო მზაობის ცენტრი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სუბსიდიის მოცულობა, საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და ამ კანონიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების მოთხოვნათა შესასრულებლად, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი, რათა მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა დაწესებულებებმა 2020 წლის 31 დეკემბრამდე გაიარონ ავტორიზაცია.

მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მიმართულებით. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა. შემჩნეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაციები, რომლის შესრულებაზეც ხორციელდება კონტროლი.



ა(ა)იპ ბაგა - ბაღში მოწესრიგდა კანალიზაციის სისტემა. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა, რათა დადებითად გადაწყდეს მოქმედი ბაგა- ბაღის სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ყოფილი მეორე საბავშვო ბაგა- ბაღის მშენებლობა-რეკონსტრუქცია. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელს გახდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა დაწესებულებებმა უპრობლემოდ გაიარონ ავტორიზაცია. გათვალისწინებული იქნება სოფელ გლოლის სკოლამდელი განათლების ცენტრის, ასევე ონის სკოლამდელი დაწესებულებების ეზოებში სათამაშო მოედნების მოწყობა.

ონის მუნიციპალიტეტში 9 სსიპ საჯარო სკოლაა. ბოლო სამი წლის მანძილზე შეინიშნება მასწავლებელთა კლებადობა, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის სკოლებში საფინანსო კლასების კლებით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 4.04, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,24-ით. დასრულდა ონის საჯარო სკოლის კაპიტალური რემონტი მილენიუმის პროგრამით, „ათასწლეულის გამოწვევა“ ფონდის ფარგლებში.

ონის მუნიციპალიტეტში არაფორმალური საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებები: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოითხოვს ონის სამუსიკო სკოლა, ხოლო გაფართოებას და სარეაბილიტაციო სამუშაოებს - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და სამხატვრო სკოლა. ყველა საგანმანათლებლო პროფილის სკოლა საჭიროებს საოფისე ინვენტარით აღჭურვას. სულ საგანმანათლებლო დაწესებულებები ემსახურება 235-ზე მეტ ბავშვს.

**კულტურისა და სპორტის სერვისები** ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა 17 სასოფლო ბიბლიოთეკით, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კულტურის სახლმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კულტურული მომსახურება გაუწია, როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან შემოსული მხატვრული კოლექტივების მეშვეობით 2019 წელს 5580 ბენეფიციარს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერო დღესასწაულების აღნიშვნას.

საბიბლიოთეკო ქსელის ძირითადი ნაწილი განთავსებულია ბიბლიოთეკის შენობებში, ჯერ-ჯერობით სამი ბიბლიოთეკა განთავსებულია დაქირავებულ შენობაში (ღები, ჯინჭვისი, ზუდალი). კაპიტალურ რემონტს მოითხოვს ცენტრალური ბიბლიოთეკა, ასევე მცირე ტიპის რემონტს საჭიროებს სოფლის ბიბლიოთეკები. გასახლებელია საოფისე ინვენტარი და ბიბტექნიკა, როგორც ცენტრალურ, ასევე სოფლის ბიბლიოთეკებში. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს 61 526 წიგნადი ფონდით, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა 23 911 ცალი წიგნით. მკითხველთა რაოდენობა შეადგენს სოფლად 665 კაცს, ქალაქში 420 ადამიანს.

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სადაც მუზეუმის მეცნიერ -

თანამშრომლები ეწევიან სერიოზულ სამეცნიერო - კვლევით მუშაობას. მუზეუმში დაცულია 14 000 ექსპონატი.

შენობა ავარიულია, თუმცა ამ ეტაპზე დასრულებულია თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი შენობის საპროექტო სამუშაოები, სპეციალისტებთან ერთად შერჩეულია ახალი შენობის განთავსების ადგილი. გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაცია და მოკლე ვადებში დაიწყება მშენებლობა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა წლის მანძილზე მომსახურება გაუწია ადგილობრივ, ქვეყნისა და ქვეყნის გარედან შემოსულ დამთვალიერებელს.

კეთილმოეწყო ქალაქის ცენტრში განთავსებული ერთ-ერთი სკვერი. შეიცვალა ძველი ლამპიონები ახლით. თუმცა კეთილმოეწობას საჭიროებს ღია სცენის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ტარდება საერო დღესასწაულები, საერთაშორისო ფესტივალები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. სასურველია წვიმაგამძლე სკამების დამონტაჟება, ასევე გარე განათების დამატება. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტს უკვე დაუგროვდა საერთაშორისო და რეგიონული ფესტივალების მოწყობის გამოცდილება, სასიცოცხლოდ აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ამფითეატრის არსებობა.

**სპორტი** ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საჭიდაო დარბაზი, სპორტული კომპლექსი და სპორტული მოედნები. მათგან, ცენტრალური სტადიონი, არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ამდენად საჭიროა მისი სტანდარტებში მოყვანა. სოფლებში 2019 წელს 12 სპორტულ მოედანს დაემატა 6 ახალი მოედანი. სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს ქალაქ ონის ბეერ-შევას სახელობის პარკის ხელოვნურსაფარიანი მიწის სტადიონი.

ისტორიულად დიდი ტრადიციების მატარებელი, შურა მაისურაძის სახელობის საჭიდაო დარბაზი სტანდარტებში მოქცევას საჭიროებს, რათა შესაძლებელი გახდეს მაღალი დონის ტურნირების ორგანიზება და წვრთნისთვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

2017-2018 წლებში ბეერ-შევას სახელობის პარკში მდებარე სპორტულ კომპლექსს, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია - რეაბილიტაცია. საჭიროა სპორტული და საოფისე ინვენტარის შეძენა, რათა შესაძლებელი გახდეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობების სრულყოფილად ჩატარება (ფეხბურთი, კალათბურთი).

ქალაქი მდებარეობს სამი მდინარის დელტაზე, რაც ქმნის აუცილებლობას ბავშვებმა იცოდნენ ცურვა, ამასთან ბავშვთა გაკაჟებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში იყოს საცურაო აუზი.

## 2.6 გარემოს დაცვა

ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომელიც წარმოდგენილია უხვი ზედაპირული და მიწისქვეშა (მტკნარი და მინერალური) წყლებით. მუნიციპალიტეტში არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა რიონი და მისი შენაკადები.

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დაბალ ზონაში ადამიანის აქტიური ზემოქმედების შედეგად კულტურული ლანდშაფტია წარმოდგენილი. ბუნებრივი მცენარეულობა მხოლოდ ძნელად ასათვისებელ და დაუსახლებელ

ტერიტორიებზეა შემორჩენილი და წარმოდგენილია მუხნარებით, ფიჭვნარებით, მუხნარ-რცხილნარებით, წაბლ-რცხილნარებით. ამ ძირითადი ფორმაციების გვერდით გვხვდება უთხოვარი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. ქვე-ტყეს ქმნის შინდი, მაყვალი, კუნელი და სხვა ბალახეული ცენოზები. საშუალო-მაღალმთიან ზონაში მცენარეთა საფარველი ფორმაციებისა და ცენოზების მიხედვით განსხვავებულია. კირქვიან ზოლში მცენარეულობა უფრო მრავალფეროვანი და უხვია. 1300 მ-მდე წარმოდგენილია კოლხური ტიპის ასოციაციები და მეზოფილური წიფლის ტყეები, ხოლო ზემოთ შერეული ტყეებია გავრცელებული. ქვე-ტყეს ქმნიან კოლხური შქერი, წყავი, იელი, მოცხარი და ბზა. რაჭის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები ხელშემწყობია მრავალფეროვანი ფაუნის არსებობისათვის.

ხელუხლებელი ლანდშაფტები რაჭაში საკმაოდ დიდ ფართობზეა წარმოდგენილი. ფრაგმენტებადაა განლაგებული ხელუხლებელი ტყეები და ალპური მდელოები. ისინი გვხვდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე შოდა-კედელაზე, ქვედრულას სათავეებში და სხვა მცირე მონაკვეთებში.

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ამიტომ ბუნებრივი საფრთხეები განსაკუთრებით აქტიურია. ონის მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, ქვაზვავი, მდინარის ნაპირების ეროზია და მიწისძვრა. უკანასკნელ ათწლეულში, აღნიშნული კატასტროფები გაძლიერდა, განსაკუთრებით გახშირდა მიწისძვრები. მიწისძვრების შედეგად გააქტიურდა მეწყრული მოვლენები, აღნიშნულმა საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ონის მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა დიდთოვლიანი ზამთარი, თოვლის ზვავებისაგან ხშირად ზიანდება ონი-შოვის საავტომობილო გზა უწერისა და გლოლის მონაკვეთებზე. წყალდიდობების შედეგად ხშირად ექმნება საფრთხე საგლოლოს ხიდს, ასევე მდინარე რიონზე ქვერეთის, შარდომეთისა და გომის ხიდებს.

ონის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ქ. ონის რამდენიმე უბანს აქვს კანალიზაციის კოლექტორი, თუმცა არ არსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა. ქალაქის სათავე ნაგებობას საფრთხეს უქმნის წყალდიდობა, რადგან ყიჟორეთის სათავე მდინარე რიონის კალაპოტში მდებარეობს და წყალდიდობისას წყალმიმღები გალერეის ტერიტორია ხშირად იტბორება და ზიანდება.

**მყარი ნარჩენების მართვა.** 2019 წელს შეიქმნა მყარი ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. ქ. ონსა და რამდენიმე სოფელს ემსახურება შპს „ონი სერვის ჯგუფი“, რომელიც ადგილობრივი თითმმართველობის დაქვემდებარებაშია. იგი ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას, აღრიცხავს მყარი ნარჩენების მოცულობას და განათავსებს მათ პოლიგონზე. სამსახურის მიერ შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა 5110 მ<sup>3</sup>-ია წლიურად. ამჟამად ხორციელდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ქალაქის სეპარირება მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ.

მუნიციპალიტეტს 2015 წლიდან გააჩნია ლიცენზირებული ნარჩენების პოლიგონი, რომელიც მდებარეობს ქალაქგარეთ ე.წ. „ნაგუთში“, რიონი-ჯეჯორას შესართავთან 500 მეტრში, მდ.

ჯეჯორას მარცხენა სანაპიროზე. ნაგავსაყრელი მოწყობილია სტანდარტების შესაბამისად, ხდება ნაჟური წყლებისა და აირების კონტროლი; კერძოდ, ნაგავსაყრელზე გარედან მოწყობილია სანიაღვრე სისტემა, სადაც იწურება ნაჟური წყლები და ჩაედინება მდინარე რიონში.

გასულ წლებთან შედარებით, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის მიმდებარედ არსებულ მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში განთავსდა სანაგვე ურნები და მოწესრიგდა მყარი ნარჩენების მართვის პროცესი (კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 230 ერთეულს. მათ შორის, 100 ლითონისაა, 130 - პლასტმასის. კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად. მუნიციპალიტეტს ყავს ორი ნაგავმზიდი თვითმცლელი მანქანა). დანარჩენ სოფლებში არაღეგალური, სტიქიური ნაგავსაყრელები კვლავ პრობლემად რჩება. კურორტებზე და დიდ სოფლებში გასაკეთებელია დროებითი ნაგავსაყრელების მოწყობა, საიდანაც დაგროვების შემდეგ მოხდება გატანა მთავარ ნაგავსაყრელზე ქ. ონში. მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის მოგვარება, დამატებით სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანის შეძენის კუთხით.

## 2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერია.

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია შემდეგი სახელმწიფო სერვისები:

- ს.ს.ი.პ. ბუნებრივი რესურსების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური;
- ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახური;
- სამოქალაქო რეესტრის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პრობაციის ბიურო;
- შ.პ.ს. "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია";
- სახმელეთო-სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N8 სამმართველო (ჯავა, ონი);
- შს ონის რაიონული სამმართველო;
- შ.პ.ს. "საქართველოს ფოსტა";
- შ.პ.ს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ონის საავადმყოფო;
- ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- ონის 43-ე საოლქო საარჩევნო უბანი;
- შ.პ.ს. "ონიგზა-99";
- სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;
- სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სამსახური;
- დაცვის პოლიცია;
- სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი;
- ონის მაგისტრატი სასამართლო;
- იუსტიციის სახლი;
- საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და დახმარების ცენტრი.

**ბიუჯეტი** ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 5,111.0 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც ამ ეტაპზე მთლიანი მოცულობა (100%) მოდის საკუთარ შემოსავლებზე. საკუთარი შემოსავლები 2019 წელთან მიმართებაში ზრდით ხასიათდება (19%) და შეადგენს 5,111.0 ათას ლარს.

2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 5,126.0 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის დაახლოებით 31% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე სრულად მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტის 8%, განათლების ხელშეწყობის მხრივ - 5.7%, კულტურის, რელიგიური, ახალგაზრდული და სპორტული აქტივობებისათვის გამოყოფილია ბიუჯეტის - 12.7%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის კი - 4.1%.

### 3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის წიაღისეული რესურსის არსებობა.</li> <li>• ტყის ბიომრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი მერქნული და არამერქნული რესურსი და სხვადასხვა ეკოლოგიური ფუნქციები (ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი).</li> <li>• მდიდარი ენერგეტიკული რესურსები (მაგ. ჰიდრო რესურსის არსებობა).</li> <li>• მინერალური და სამკურნალო წყლების დიდი რესურსი.</li> <li>• სათიბ-სამოვრების დიდი რესურსი.</li> <li>• სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემო.</li> <li>• მეცხოველეობის დარგის წინ წამოწევა და ამ მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციების მაღალი დონე სხვა დარგებთან მიმართებაში.</li> <li>• ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.</li> <li>• საკურორტო ზონების მრავალფეროვანი რესურსი.</li> <li>• კურორტების შოვისა და უწერის ცნობადობის მაღალი დონე.</li> <li>• აეროპორტთან სიახლოვე.</li> <li>• ქ.ონში თითქმის სრულად მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა.</li> <li>• ქ.ონში თითქმის სრულად მოწესრიგებული წყალსადენი სისტემის შიდა ქსელი.</li> <li>• ქ. ონის შიდა ქუჩების 95% ასფალტირებულია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის სიშორე დედაქალაქიდან.</li> <li>• მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა.</li> <li>• მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში მისასვლელი და შიდა კაპიტალური გზების არარსებობა.</li> <li>• დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალის არარსებობა.</li> <li>• მუნიციპალიტეტის მდებარეობა სეისმურად აქტიურ ზონაში.</li> <li>• ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე.</li> <li>• ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებით სარგებლობისა და ცნობიერების არასათანადო დონე.</li> <li>• მუნიციპალიტეტის სოფლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნარჩენების მართვის სისტემების არარსებობა.</li> <li>• ქ.ონში (მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე) წყალანიერების და გაწმენდითი ნაგებობის არარსებობა.</li> <li>• ქალაქის მომმარაგებელი სასმელი წყლის სათავე ნაგებობების არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.</li> <li>• მუნიციპალური ტრანსპორტის მოძველებული ავტობუსები.</li> <li>• ვაჭრობის სეზონური ხასიათი და სუსტი საბაზისო ინფრასტრუქტურა.</li> <li>• ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არასაკმარისი დონე.</li> <li>• მაღალი კლასის სასტუმროების ნაკლებობა.</li> <li>• მრეწველობის/წარმოების სექტორის განვითარების არადაამაკმაყოფილებელი დონე.</li> <li>• მოძველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა.</li> <li>• პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე.</li> <li>• მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• მობილური კავშირი და ინტერნეტის მიწოდება ფარავს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 90%.</li> <li>• ქ.ონი სრულად გაზიფიცირებულია, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრის მიმდებარე სოფლებში აღნიშნული პროცესი მიმდინარე.</li> <li>• იუსტიციის სახლის არსებობა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შესაბამის სერვისებზე მარტივი ხელმისაწვდომობა.</li> <li>• მუნიციპალიტეტის დასახლებები თითქმის სრულად გამრიცხველიანებულია და მოწყობილია გარე განათება.</li> <li>• ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არსებობა.</li> <li>• მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და შესაბამისი შეღავათებით სარგებლობა</li> <li>• ოჯახის ექიმის მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველა თემში.</li> <li>• მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ სფეროებში არსებული ტრადიციები.</li> <li>• საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ორგანიზაციების არსებობა, წარმატებული ფუნქციონირება და ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა.</li> <li>• საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.</li> <li>• ინკლუზიური სწავლების დანერგვა და შშმ და სსსმ პირთა აქტიური ჩართულობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმუშევრობის მაღალი დონე.</li> <li>• მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი დინამიკა და მოსახლეობის დაბერება.</li> <li>• შრომითი რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქმედითი სისტემის არარსებობა.</li> <li>• საზოგადოებრივი ცენტრების არარსებობა.</li> <li>• ინტერნეტ პენეტრაციის არადაამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი.</li> <li>• ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დაბალი ინტენსივობა და ინფრომირების დაბალი დონე.</li> <li>• მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მცირე რაოდენობა.</li> <li>• ძვირი საბანკო კრედიტები და ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროების სიმცირე.</li> <li>• მცირე ფერმერული მეურნეობისათვის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე.</li> <li>• სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე, მოსავლიანობის თვალსაზრისით მწირი ნიადაგი და პროდუქციის წარმოების დაბალპროდუქტიულობა.</li> <li>• თევზჭერის, ნადირობის და მცენარეების შეგროვების ბრაკონიერული პრაქტიკა</li> <li>• სათიბ - სამოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის გაუხეშება</li> <li>• სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ორგანიზაციების ნაკლებობა.</li> <li>• ვეტერინარული მომსახურების სფეროს არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.</li> <li>• სამედიცინო სფეროში ვიწრო სპეციალისტების ნაკლებობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე.</li> <li>• საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.</li> <li>• სერთიფიცირებულ პედაგოგთა ნაკლებობა.</li> <li>• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა.</li> </ul>
---	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოფლის წყლების მოვლა-შენახვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამსახურის არარსებობა.</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწიძველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.</li> <li>• მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება.</li> <li>• კერძო სექტორში ცნობიერების ამაღლება და სამეწარმეო უნარების განვითარება.</li> <li>• სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება</li> <li>• დარგობრივი ტურიზმის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა.</li> <li>• კურორტი შოვის განვითარება ყველა სეზონზე შესაბამისი სერვისებით მიწოდების შესაძლებლობით.</li> <li>• მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.</li> <li>• მრავალფეროვანი ტყეების როგორც მერქნული, ასევე არამერქნული რესურსის უწყვეტი და გრძელვადიანი განვითარება.</li> <li>• მრეწველობის/წარმოების სექტორის წახალისება და განვითარება.</li> <li>• შრომითი რესურსების პროფესიული დონის ამაღლება.</li> <li>• სოფლის მეურნეობის დარგების არსებული პოტენციალის ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა.</li> <li>• ადგილობრივი (სოფლად მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების) მნიშვნელობის გზების მოწესრიგება.</li> <li>• ქალაქის მომმარაგებელი სასმელი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია და წყლის ხარისხის მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი.</li> <li>• პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია.</li> <li>• სხვადასხვა ფაქტორების შედეგად გარემოს დაბინძურების მაჩვენებლის ზრდა</li> <li>• ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართაობის შედეგად ტურისტული ზონების დაბინძურება.</li> <li>• შრომისუნარიანი მოსახლეობისა და კვალიფიცირებული სპეციალისტების გადინების ტემპის ზრდა.</li> <li>• სტიქიური მოვლენები.</li> <li>• შობადობის შემცირება.</li> <li>• ახალგაზრდა თაობების გადინება მუნიციპალიტეტიდან.</li> <li>• კლიმატის ცვლილებების უარყოფითი ზეგავლენა.</li> <li>• ფლორისა და ფაუნის სხვადასხვა სახის დაავადებათა გარცელება და სხვა უარყოფითი გარემო ფაქტორების ზემოქმედება</li> <li>• ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებისას მთელი რიგი რისკების წარმოქმნა</li> <li>• სახერხი საამქროების ფუნქციონირება მდინარეების ნაპირებთან და ნახერხი ნარჩენებით მდინარის დაბინძურების ალბათობა</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"><li>• ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდა</li><li>• ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემის განვითარება.</li><li>• სათიბ-სავარგულეზამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება.</li><li>• სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგებში არსებულ სიახლეებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.</li><li>• დონორ ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაცია და დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიება.</li><li>• სამედიცინო კადრების გადამზადების ხელშეწყობა.</li><li>• ამბულატორიების მშენებლობა და აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით.</li><li>• გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა.</li><li>• ადამიანური რესურსის პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა.</li><li>• საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა.</li><li>• ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა.</li><li>• სოფლად არსებული სპორტული ობიექტების აღჭურვა - მოწესრიგება.</li><li>• სპორტისა და კულტურის სფეროს გაძლიერება და ინოვაციების დანერგვა.</li><li>• ახალგაზრდული საბჭოს შექმნა.</li><li>• ეკოლოგიურად სუფთა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება/ხელშეწყობა</li><li>• ქალაქის სანაპირო ზოლის სრული დაცვა მდინარე რიონისაგან</li><li>• სანიაღვრე სისტემის დარჩენილი ნაწილის მოწესრიგება</li></ul>	
---	--

<ul style="list-style-type: none"><li>• კურორტებზე არსებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა</li><li>• ქ.ონში არსებული საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა</li><li>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელების მოწყობა.</li></ul>	
---	--

## 4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

**გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის, რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი, მმართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

**პარტნიორობა** - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებულია როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის, აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

**კანონიერების პრინციპი** - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მმართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

მიზანი 1:		მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ტურიზმის განვითარების გზით.					მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:			მიზანი 8		
ამოცანა 1.1:		ტურისტული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1		ტურისტულ ობიექტებამდე მიმსავლელი გზები რეაბილიტირებულია; ტურისტების ნაკადის ზრდა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
	წელი				შუალედური	საბოლოო						
	მაჩვენებელი											
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო		დეფიციტი		
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა				
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია		
1.1.1	სოფ. ბარიდან - მრავალძლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	1.1.1.1	5კმ. საგზაო საფარი რეაბილიტირებულია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	3,000,000		3,000,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
1.1.1.2	საჩხერე-შქმერის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია	1.1.2.1	25 კმ საგზაო საფარი რეაბილიტირებულია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	65,000,000		65,000,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	

1.1.3	პიპილეთი-ცხმორი-ბაჯიხევის გზის რეაბილიტაცია	1.1.3.1	10 კმ გზის საფარი რეაბილიტირებულია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	700,000			700,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
1.1.4	სოფელ ღებიდან სვანეთის მიმართულებით გრუნტის გზის რეაბილიტაცია I ეტაპი	1.1.4.1	9კმ საგზაო საფარი გრუნტით რეაბილიტირებულია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	1,350,000			1,350,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
<b>ამოცანა 1.2:</b>			<b>სივრცითი ტერიტორიული განვითარება/კეთილმოწყობა</b>										
<b>ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1</b>			უსაფრთხო და სუფთა გარემო ტურისტულად აქტიურ ზონებში		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
				წელი		შუალედური	საბოლოო						
				მაჩვენებე									
<b>აქტივობა</b>			<b>აქტივობის შედეგის ინდიკატორი</b>	<b>დადასტურების წყარო</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>პარტნიორი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>	<b>ბიუჯეტი [ლ]</b>	<b>დაფინანსების წყარო</b>				
									<b>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</b>		<b>სხვა</b>		<b>დეფიციტი</b>
								ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია		
1.2.1	ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი)	1.2.1.1	დ. აღმაშენებლის ქუჩასა და მოედანზე, დემეტრე II -ის, წერეთლის და ლებანიძის ქუჩებზე მოწყობილი გარე განათებები		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020	2 000 000			7,000,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	

1.2.2	ქ. ონში	1.2.2	ვახტანგ VI, ბააზოვის, კახაბერის ქუჩების ნაწილზე ღობეების რეაბილიტაცია და ბულვარის სრული რეაბილიტაცია. კეთილმოეწყობა დაახლოებით 7 000 კვ.მ.		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2021	1 500 000			7 000 000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
1.2.3	ქ. ონში ბევრ-შევას სახელობის პარკის, მურმან ლეზანიძის სანაპიროს, სააკაძის ქუჩის და სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოეწყობა	1.2.3 .1	12,000 კვ.მ კეთილმოეყოლია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	3,500,000			3,500,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
1.2.4	სოფ. ჭალაში არსებული მინერალური წყლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოეწყობა	1.2.4 .1	350 კვ.მ კეთილმოეყოლია		ონის მუნიციპალიტეტი	MRDI	2020-2021	90,000			90,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	
ამოცანა 1.3:			მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტების რეკლამირება და მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა										
